საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

881-01-01-10-2-202002251434

N 01-01-10/881
25/02/2020

**ნაზიბროლა რეხვიაშვილს**

(პ/ნ 62011003485; მის.: ბათუმი, წერეთლის ქ.№6,ბ.43

ტელ.: 577 20 00 01)

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი 2020 წლის 11 თებერვლის წერილის პასუხად წარმოგიდგენთ „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის“ პროგრამის ანოტაციას.

2014 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავდა „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა“. პროგრამის განხორციელების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ 2014 წლის 20 მაისს შეიქმნა პროგრამის ბენეფიციართა შემდგენი კომისია. კომისიის მიერ მიღებულ იქნა 264 მოქალაქის განცხადება და შედგა მსესხებელთა რეესტრი, რომელშიც შეყვანილია 188 მოქალაქე, ხოლო 76 მოქალაქეს უარი ეთქვა ტურისტული ბიზნესის არქონის გამო.

პროგრამის თანახმად, აღნიშნული 188 სუბიექტისათვის სესხის დამტკიცებისა და გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კონკურსის შედეგად შერჩეული კომერციული ბანკი, რადგან სესხის თანხის მობილიზებას ახდენს საკუთარი რესურსით, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას მოახდინოს პროგრამის ბენეფიციართა თანადაფინანსება 12%-ის ოდენობით (15%-დან), სამი საანგარიშო წლის განმავლობაში.

აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით, 2014 წლის 6 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სს „ლიბერთი ბანკს“ შორის გაფორმდა №MOU-12/06 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ სს „ლიბერთი ბანკს“ განხილვისა და შემდგომში სესხის გაცემის მიზნით, გადაუგზავნა ზემოაღნიშნული 188 სუბიექტისაგან შემდგარი მსესხებელთა რეესტრი. პროგრამის ფარგლებში სს „ლიბერთი ბანკმა“ სესხი გასცა მხოლოდ 25 ბენეფიციარზე.

პროგრამის გაგრძელების მიზნით, 2016 წლის 26 აპრილს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა №204378869 ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც სს

„საქართველოს ბანკს“ გადაეგზავნა დარჩენილი 163 სუბიექტისაგან შემდგარი მსესხებელთა რეესტრი. სს „საქართველოს ბანკმა“ გამოთქვა მზადყოფნა სესხი გაეცა 25 ბენეფიციარზე. ამ დროისთვის სს „საქართველოს ბანკს“ სესხი გაცემული აქვს 16 ბენეფიციარზე.

დღეისათვის, „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სესხი გაცემულია სულ 41 ბენეფიციარზე, საიდანაც სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ გაცემულ 25 ბენეფიციარის სესხზე თანადაფინანსების თანხების გადახდა დასრულებულია.

**„მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2019 წელს გადახდილი თანადაფინანსების თანხები**

| მუნიციპალიტეტი | გადახდილი თანადაფინანსების თანხა (ლარი) |
|---|---|
| ბათუმი | 23 172.81 |
| ქობულეთი | 24 947.54 |
| სულ | 48 120.35 |

**პროგრამის ფარგლებში 2014 - 2019 წწ გადახდილი თანადაფინანსების თანხები**

| მუნიციპალიტეტი | ლიბერთი ბანკი | საქართველოს ბანკი |
|---|---|---|
| ბათუმი | 122 661.83 | 115 059.29 |
| ქობულეთი | 215 867.29 | 153 375.76 |
| სულ | 338 529.12 | 268 435.05 |

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.